საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2022/2023

02.03.2023
www.geostat.ge

02.03.2023

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

(2022/2023 სასწავლო წელი)

2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 62 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო და 43 კერძო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 64.5 პროცენტი ქალაქ თბილისშია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, 2018/2019-2022/2023 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

(ერთეული)



2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 50.1 ათასი სტუდენტი მიიღეს, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტებში - 29.4 ათასი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - 20.7 ათასი. სტუდენტთა მიღება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.4 პროცენტით (4.7 ათასი) გაიზარდა.

02.03.2023

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2018/2019-2022/2023 სასწავლო წლებში მიღებული სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დიაგრამა №2

მიღებული სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 161.3 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.9 პროცენტით აღემატება. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა 60.6 პროცენტი სწავლობს, ხოლო კერძოში - 39.4 პროცენტი. სტუდენტების 52.0 პროცენტი ქალია, ხოლო 48.0 პროცენტი - კაცი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2018/2019-2022/2023 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №3

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(ათასი)



2022 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 25.8 ათასმა სტუდენტმა დაამთავრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.3 პროცენტით ნაკლებია. კურსდამთავრებულების 59.4 პროცენტი ქალია, ხოლო 40.6 პროცენტი - კაცი. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 2.4-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით, 2018-2022 წლებში.

დიაგრამა №4

კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით

(ათასი)



სტუდენტების 1.9 პროცენტი 18 წლამდე ასაკისაა, 79.8 პროცენტი - 18-დან 23 წლამდეა, ხოლო 18 პროცენტი - 24 წლის და უფროსი ასაკის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, 2021/2022-2022/2023 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №5

სტუდენტების რიცხოვნობა ასაკის მიხედვით

(ათასი)



2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაიგზავნა 723 სტუდენტი, რაც 239-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილი სტუდენტების რიცხოვნობა 2.6-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილ სტუდენტთა რიცხოვნობას.

უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობამ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 25.1 ათასი შეადგინა, რაც 43.2 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საზღვარგარეთ სტუდენტთა გაგზავნის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობის მაჩვენებლები, 2022/2023 სასწავლო წელს.

დიაგრამა №6

სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა საქართველოში

(2022-2023 სასწავლო წელი, კაცი)



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 10.6 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.2 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2022/2023 სასწავლო წელს.

დიაგრამა №7

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(2022-2023 სასწავლო წელი, კაცი)



2022 წელს, უნივერსიტეტებში მიღებული დოქტორანტების რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით, 10.7 პროცენტით შემცირდა და 874 პირი შეადგინა. დოქტორანტების რიცხოვნობა 6.2 პროცენტითაა შემცირებული და 3 638-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2022 წელს.

ცხრილი №1

დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით

(2022 წელი)

	რიცხოვნობა (კაცი)	%
დოქტორანტები, სულ	**3 638**	**100.0**
მათ შორის:		
განათლება	88	2.4
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	580	15.9
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1 733	47.6
მეცნიერება	418	11.6
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	288	7.9
სოფლის მეურნეობა	58	1.6
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	422	11.6
მომსახურება	51	1.4

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, სადოქტორო პროგრამებზე მიღებულთა რიცხოვნობის ზრდა, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაზე დაფიქსირდა.

წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებული დოქტორანტების რიცხოვნობა 23.7 პროცენტით გაიზარდა და 537 პირი შეადგინა. თუმცა, კლება აღინიშნა ჰუმანიტარული მეცნიერებების და ხელოვნებისა და მეცნიერების სადოქტორო პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2022 წელს.

02.03.2023

დიაგრამა №8

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება
პროგრამების მიხედვით, 2022 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge